

ქ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს ბატონ:

პეტიციის ინიცირების დაწყების თაობაზე განცხადების წარმდგენი სუბიექტის მომხსენებლების სახელი და გვარი:

1. ოთახ ხუციშვილი;
2. მეია შაქაძე;
3. ფეშხა ფანჯღვრიანი;
4. ქეთევან ცოცხლიძე;
5. დასი კუცობიძე;
6. ქსინია ქათაძე;
7. თინათინ ფანჯღვრიანი;
8. ლალი წაქაძე;
9. თატიანა ფანჯღვრიანი;
10. ზაქარია კვიციანი;

საკონტაქტო ტელეფონის ნომერი:

### პეტიცია

ქ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე პარკირების თემა ძალიან აქტუალურია, რადგან ყოველდღიურად იზრდება ავტომანქანების რაოდენობა, განსაკუთრებით რთული მდგომარეობაა ზაფხულის პერიოდში, როდესაც მუნიციპალიტეტში სტუმრების რაოდენობა მნიშვნელოვნად გაზრდილია. აღნიშნული პრობლემა გამოწვეულია იმ მიზეზით, რომ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, ცენტრალურ უბნებში, ავტომობილების პარკირებისთვის გამოყოფილი ადგილები არასაკმარისია და ვერ აკმაყოფილებს მზარდ მოთხოვნას. გამოყოფილი ადგილები ხშირად, თვითნებურად დაკავებული აქვთ ტაქსის მძღოლებს რომლებიც არ აძლევენ მოქალაქეებს საშუალებას ისარგებლონ მათთვის გამოყოფილი ადგილებით. ასევე ხშირია შემთხვევები, როდესაც გარემოვაჭრეები თვითნებურად იკავებენ პარკირების ადგილებს. არ არის ნათლად დადგენილი შესაბამისი საგზაო ნიშნებით გამოყოფილი ფასიანი და უფასო პარკირების ტერიტორია. საჭიროა შეძლებისდაგვარად გაიზარდოს პარკირების ადგილების რაოდენობა, მკაცრად გაიმიჯნოს ტაქსების და გარემოვაჭრეების ღომის ადგილი და საჭიროების შემთხვევაში გადატანილ იქნას ისინი ცენტრალური უბნებიდან მოშორებულ ტერიტორიაზე. აქვე აღვნიშნავთ, რომ საჭიროა მოხდეს ქალაქში პარკირების გადასახადის ელექტრონული სისტემების დანერგვა, რაც მოაწესრიგებს აღრიცხვიანობას და დამატებით შემოსავალს მისცემს ქალაქის ბიუჯეტს.

ქ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მოქალაქეები მოვითხოვთ, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ის 86-ე მუხლის, მე-4 პუნქტის, "გ" ქვეპუნქტის და ქ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის შესაბამისად, განიხილოთ წარმოდგენილი პეტიცია და უმოკლეს დროში უზრუნველყოთ ქ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ავტომობილების პარკირების ადგილების გამოყოფის და შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოწყობის საკითხის გადაწყვეტა. პეტიციას თან ერთვის დანართები:

1. პეტიციის წარმდგენი სუბიექტის მომხსენებლების პირადობის მოწმობების (პასპორტის) ასლები;
2. პეტიციის მხარდამჭეთა ხელმოწერილი ბლანკები.

პეტიციის წარმდგენი სუბიექტის მომხსენებლების სახელი, გვარი და ხელმოწერა:

1. ოთახ ხუციშვილი
2. მეია შაქაძე
3. ფეშხა ფანჯღვრიანი
4. ქეთევან ცოცხლიძე
5. დასი კუცობიძე
6. ქსინია ქათაძე
7. თინათინ ფანჯღვრიანი
8. ლალი წაქაძე
9. თატიანა ფანჯღვრიანი
10. ზაქარია კვიციანი

პეტიციის წარმდგენის თარიღი: 29 დეკემბერი 2016 წელი

